



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**მინერალური რესურსების ეროვნული  
სააგენტო**



KA020193491640622

**თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ: 0 32 2 95 00 30**

**ბრძანება № 1457/ს**

**30 / დეკემბერი / 2022 წ.**

**ფ/პ სპარტაკი ჯანგველაძე (პ/ნ 01013016440) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1002519 ლიცენზიის გაუქმების თაობაზე**

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2015 წლის 05 მაისის N595/ს ბრძანების საფუძველზე, ფ/პ სპარტაკი ჯანგველაძე გაცემულ იქნა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1002519 ლიცენზია (25 წლის ვადით), გორის მუნიციპალიტეტში, სოფელი დიდი გარეჯვარის მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით) მოპოვების მიზნით.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 09 დეკემბრის N2504 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, დასტურდება ფ/პ სპარტაკი ჯანგველაძის გარდაცვალების ფაქტი.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-3 მუხლის „ა.ა“ პუნქტის საფუძველზე, გათვალისწინებულია სარგებლობის ლიცენზიის მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობა, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაუქმების პროცედურების გატარებამდე, ჩატარებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოება, ფ/პ სპარტაკი ჯანგველაძის მემკვიდრის დადგენის მიზნით.

ადმინისტრაციული წარმოების მასალების თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 22 ივლისის დადგენილებით (საქმის N4/4004-20), ფ/პ სპარტაკი ჯანგველაძის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა მისი გარდაცვალების გამო.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულმა სააგენტომ ლიცენზიატის მემკვიდრის მოძიების მიზნით მიმართა საქართველოს ნოტარიუსთა პალატას. პალატამ სააგენტოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ განხორციელებულია სამემკვიდრეო საქმისწარმოება და ნოტარიუს თინათინ მაჩიტაშვილის მიერ დამოწმებულია შესაბამისი სამკვიდრო მონშობა.

აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე სააგენტომ მიმართა ნოტარიუსს, სპარტაკ ჯანგველაძის მემკვიდრის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით. მიმართვის პასუხად ნოტარიუსმა თინათინ მაჩიტაშვილმა უარი განაცხადა სააგენტოსთვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე, „ნოტარიუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე ( სანოტარო მოქმედების საიდუმლოება).

ამ პირობებში, შეუძლებელი გახდა ფ/პ სპარტაკ ჯანგველაძის მემკვიდრე(ებ)ის მოძიება. ასევე გასათვალისწინებელია, ის გარემოება, რომ სპარტაკ ჯანგველაძის გარდაცვალება რეგისტრირებულია 2017 წლის 28 ივლისს (ნოტარიუსთა პალატის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად) ხოლო სამკვიდრო მონშობა დამოწმებულია 2018 წლის 24 აპრილს. 2018 წლიდან-2022 წლამდე სააგენტოსთვის არ მოუმართავს არცერთ დაინტერესებულ პირს სპარტაკ ჯანგველაძის საკუთრებაში არსებულ N 1002519 ლიცენზიასთან დაკავშირებით.

არსებული მონაცემებით დასტურდება, რომ ლიცენზიის მოქმედი სახით არსებობა მოკლებულია ფაქტობრივ დასაბუთებას, მისი როგორც არამატერიალური ქონებრივი სიკეთის მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობა არ იქნა გამოყენებული გარდაცვლილი ლიცენზიანტის მემკვიდრეთა მხრიდან. სსიპ მინერალური რესურსების სააგენტოსთვის შეზღუდულია ასევე ლიცენზიის პირობების შემოწმების შესაძლებლობა შემდგომი რეაგირების განხორციელებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, გადადგმულ იქნა ყველა ქმედითი ნაბიჯი, ფ/პ სპარტაკი ჯანგველაძის სახელზე გაცემული სასარგებლო ნიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მემკვიდრეობის გზით გადაცემის მიზნით.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტის, „სასარგებლო ნიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების, 7<sup>5</sup> მუხლის 1<sup>2</sup> პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 იანვრის N1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის „ვ“ პუნქტის, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 09 დეკემბრის N2504 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2015 წლის 05 მაისის N595/ს ბრძანება;


2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს (გაუქმდეს) ფ/პ სპარტაკ ჯანგველაძეზე გაცემული N1002519 ლიცენზია, გორის მუნიციპალიტეტში, სოფელი დიდი გარეჯვარის ტერიტორიაზე მინისქვეშა მტკნარი წყლის (სამენარმეო დანიშნულებით) მოპოვების მიზნით.

3. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს ლიცენზიის გაუქმების შესახებ მონაცემები დადგენილი წესით შეიტანოს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში;

4. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს წინამდებარე ბრძანების სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნება;

5. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/  
შტამბდასმულია  
ელემენტარულად 

ანდრო ასლანიშვილი